ნუმიზმატიკა და ბონისტიკა.

I-II სემესტრი. 2020-2021 წელი

(შუასემესტრული გამოცდის ნიმუში)

Question 1

ბონისტიკა ისტორიის ერთ-ერთი დისციპლინაა და შეისწავლის.

Select one:

a. ხმარებიდან გამოსულ ქაღალდის ფულსა და ბონებს

b. ხმარებიდან გამოსულ აქციებს, ობლიგაციებსა და თამასუქებს

c. ხმარებიდან გამოსულ მონეტებსა და ბონებს

d. ხმარებიდან გამოსულ ქაღალდის ფულსა და ჯილდოებს

Question 2

მსოფლიოში ყველაზე ძველ მონეტას უწოდებენ.

Select one:

a. ჰიგესის სტატერს

b. მაკედონელის ტალანტს

c. დარიოსის დრაქმას

d. ფილიპეს დარიკს

Question 3

როდიდან იჭრება კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე ვერცხლის მონეტები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში "კოლხური თეთრის" სამონეტო ჯგუფის სახელითაა ცნობილი.

Select one:

a. ძვ.წ. VI საუკუნიდან

b. ახ.წ. VI საუკუნიდან

c. ძვ.წ. VIII საუკუნიდან

d. ახ.წ. VIII საუკუნიდან

Question 4

ძვ.წ. II-I საუკუნეებში შავიზღვისპირა ქალაქ დიოსკურიაში (სოხუმი) იჭრებოდა.

Select one:

a. ოქროს საქალაქო მონეტა, რომელზეც ტყუპი ძმების დიოსკურების სახელებია გამოსახული

b. ვერცხლის საქალაქო მონეტა, რომელზეც ტყუპი ძმების დიოსკურების გმირობებია გამოსახული

c. ყველა პასუხი მცდარია

d. სპილენძის საქალაქო მონეტა, რომელზეც ტყუპი ძმების დიოსკურების ქუდებია გამოსახული

Question 5

პირველი ანონიმური არაბული მონეტა თბილისის ზარაფხანაში მოიჭრა.

Select one:

a. თარიღი ცნობილი არ არის

b. 704 წელს

c. 914 წელს

d. 824 წელს

Question 6

IV-VII საუკუნეების პირველი ქართულწარწერიანი მონეტებია.

Select one:

a. ქართულ-სასანური დრაქმები

b. ქართულ-ბიზანტიური სტატერები

c. ქართულ-არაბული დირჰემები

d. ყველა პასუხი მცდარია

Question 7

რომელი პერიოდიდან იწყება ე.წ. „ქართულ-ბიზანტიური" მონეტების მოჭრა.

Select one:

a. VIII-IX საუკუნეებში

b. X-XI საუკუნეებში

c. XII-XIII საუკუნეებში

d. VI-VII საუკუნეებში

Question 8

1252-1255 წლებში თბილისში დავით VII ულუმ მოჭრა ვერცხლის დრამა, რომელზედაც აღნიშნულია, რომ იგი არის გიორგის ძე და ბაგრატიონი. რით არის უნიკალური ეს მონეტა.

Select one:

a. ყველა პასუხი სწორია

b. ქართულ ნუმიზმატიკაში მონეტაზე ორი მეფის გამოსახულების ერთდროულად დატანის ერთადერთი შემთხვევაა

c. ქართულ ნუმიზმატიკაში მონეტაზე ზარაფხანისა და თარიღის ერთდროულად აღნიშვნის ერთადერთი შემთხვევაა

d. ქართულ ნუმიზმატიკაში მონეტაზე მეფის გვარის აღნიშვნის ერთადერთი შემთხვევაა

Question 9

გიორგი VII ჭრის მონეტას ქართული ასომთავრული ზედწერილით: „მეფეთა-მეფე გიორგი". მასვე მიეწერება აგრეთვე ქართულზედწერილიანი მონეტა, რომელზეც.

Select one:

a. „მიძინებული მეფეა" გამოსახული

b. „გახელილი თვალია" გამოსახული

c. „ფრთაგაშლილი არწივია" გამოსახული

d. „ძლევამოსილი მახვილია" გამოსახული

Question 10

XVI საუკუნის შუახანებიდან საქართველოში განსაკუთრებით მომრავლდა ირანის სეფიანი შაჰების სახელით მოჭრილი.

Select one:

a. ყველა ჩამოთვლილი მონეტები

b. სპილენძის ფული

c. ოქროს ფული

d. ვერცხლის ფული